პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 22 (9798) | ოთხშაბათი, 27 იანვარი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი, მოწვეული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ

25 იანვარს მოსკოვში, კრემლის სასახლის დიდ დარბაზში, გაიხსნა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი, მოწვეული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ.

თათბირის გახსნამდე დიდი ხნით ადრე გიორგის დარბაზში, წახნაგოვან დარბაზში, კრემლის სასახლის ფოიეში შეიკრიბნენ სოფლის მეურნეობის მექანიზატორები, სპეციალისტები, სამეწარმეო-მოქმედო ორგანოების მუშაკები. ისინი კრემლში შეიკრიბნენ ღირსშესანიშნავ პერიოდში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი მტკიცედ იბრძვის იმისათვის, რომ განახორციელოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიული დადგენილება, რომელმაც დასახა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის გზები.

ნაშუადღევის სამი საათია. კრემლის სასახლის დიდი დარბაზი თათბირის მონაწილეებით გაივსო.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ უხვი მოსავლის ოსტატები, რომლებიც თავიანთი თავდადებული შრომით ნიმუშებს გვიჩვენებენ სოფლის მეურნეობის დარგში პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. ბევრს მკერდს უმშვენებს სოციალისტური შრომის გმირისა და საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავი, დეპუტატის ნიშანი, ორდენები და მედლები. მათ შორის არიან პ. ნ. ანგელინა, გ. ე. ბურკაცკაია, თ. მ. გრინკო, თ. ი. დუბკოვეცკი, პ. ა. მალინინა, ნ. ი. პუზანჩიკოვი, ი. პ. შაკი და სხვები.

პრეზიდიუმში შემოდიან ამხანაგები **გ. მ. მალენკოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიკოიანი, მ. ზ. საბუროვი, მ. გ. პერვუხინი, ნ. მ. შვერნიკი, პ. კ. პონომარენკო, მ. ა. სუსლოვი, პ. პოსპელოვი, ნ. ნ. შატალინი.** დარბაზში მყოფნი ფეხზე დგებიან და მქუხარე ოვაციას უმართავენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

გახსნა რა თათბირი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. **ი. ა. ბენედიქტოვმა** განაცხადა, რომ თათბირზე ჩამოვიდა 2.140 კაცი. მათ შორის 700 მტს-ის დირექტორი, 180 მთავარი ინჟინერი, 155 აგრონომი, 129 ზოოტექნიკოსი, 107 სახელოსნოს გამგე და მექანიკოსი, 108 ტრაქტორისტი, სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი და კომბაინერი, 125 კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიული, კომკავშირული და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკები, აგრეთვე მეცნიერი მუშაკები.

თათბირის დღის წესრიგშია საკითხი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებისა და „მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. **მაცკევიჩი** მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს ამხ. **ბენედიქტოვს.**

— ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებაში, რომელიც მიღებულია ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო, — ამბობს მომხსენებელი, — მოცემულია ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მდგომარეობის ღრმა ანალიზი, დასახულია მისი ცალკეული დარგების სერიოზული ჩამორჩენის დაძლევის გზები და შემუშავებულია მთელი სოციალისტური სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობის პროგრამა. ამ საყოველთაო-სახალხო ამოცანის გადაწყვეტაში განსაკუთრებით დიდია მანქანა-ტრაქტორთა სადგურების როლი. პლენუმის დადგენილებაში გამოაშკარავებულია მტს-ების მუშაობის ნაკლოვანებანი და დასახულია ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი, დასახულია მტს-ების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების და საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგის განვითარებაში მათი როლის გაძლიერების გზები.

პარტია და მთავრობა უდიდეს დახმარებას უწევენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს. საქმე ახლა ის არის, რომ მტს-ებისა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკებმა, რომლებიც შეიარაღებული არიან სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, უზრუნველყონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის განვითარების დავალებათა შესრულება.

ამხ. ბენედიქტოვი ამბობს, რომ ჩვენს ქვეყანაში ცოტა როდია ისეთი მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ კოლმეურნეობებმა მათ ზონაში უხვი და მყარი მოსავალი მოიყვანონ, რომლებიც მტკიცედ იბრძვიან ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მითითებათა შესრულებისათვის. მომხსენებელი ასეთ სადგურთა შორის ასახელებს სტრიჟევსკის (ვინიცის ოლქი), შევჩენკოს სახელობის, კოტოვსკის სახელობის (ოდესის ოლქი) და სხვა სადგურებს. ათასობით მოწინავე მექანიზატორი უზრუნველყოფს ტრაქტორების, მანქანების სანიმუშო გამოყენებას და უხვ მოსავალს იღებს მათი მომსახურების კოლმეურნეობებში. მტს-ების ისეთ მუშაკებს, როგორიც არიან ამხანაგები შაკი, ანგელინა, შულგა, პიატნიცა, ნექტოვი, მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს. ჩვენს ქვეყანაში სურსათის სიუხვის შესაქმნელად, კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის დონის ასამაღლებლად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მოწინავეთა დონეზე ავიყვანოთ ყველა მტს-ი, ყველა კოლმეურნეობა. მაგრამ ჯერ კიდევ არიან მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, რომლებიც განვლილ წელს დამაკმაყოფილებლად ვერ მუშაობდნენ, განსაკუთრებით კალუგის, ტულის, რიაზანისა და ზოგიერთ სხვა ოლქში.

მოხსენებაში საილუსტრაციოდ მოყვანილია მთელი რიგი მაგალითები, რომლებიც ცხადყოფენ, თუ რა უდიდესი რეზერვები მოეპოვებათ მტს-ებსა და კოლმეურნეობებს. სტავროპოლის მხარესა და როსტოვის ოლქში ბუნებრივ-კლიმატური პირობები ცოტა რამით თუ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მიუხედავად ამისა, სტავროპოლის მხარე უკანასკნელი წლების მანძილზე ერთნახევარჯერ მეტ მოსავალს იღებს, ვიდრე როსტოვის ოლქის კოლმეურნეობები. როსტოვის ოლქის კოლმეურნეობებმა თუნდაც ისეთი მოსავალი რომ მოიყვანონ, როგორიც სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობებს მოჰყავთ, ისინი შეძლებდნენ დამატებით აეღოთ 65 მილიონი ფუთი მარცვლეული.

კოლმეურნეობებში მექანიზაციის მიღწეული დონის პირობებში, ამბობს მომხსენებელი, მოსავლის ოდენობა უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია მტს-ის მუშაობაზე, იმაზე, თუ რამდენად ნაყოფიერად იყენებენ მანქანებს, რამდენად უნარიანად იყენებენ მოწინავე აგროტექნიკას, რამდენად მაღალია მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისადმი სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელობის დონე. მტს-ები უნდა იბრძოდნენ იმისათვის, რომ მოსავლიანობის დავალებას ასრულებდეს თვითეული კოლმეურნეობა და ბრიგადა. ამავე დროს ბევრი მტს-ი ჯერ კიდევ ურიგდება ცალკეული სასოფლო-სამეურნეო არტელების ჩამორჩენას და სათანადო ღონისძიებებს არ ახორციელებს, რათა მოწინავეთა დონეზე აიყვანოს ეს კოლმეურნეობები. საჭიროა თვითეულმა მტს-მა კოლმეურნეობათა გამგეობებთან და აქტივთან ერთად შეიმუშაოს თვითეული კოლმეურნეობის მიხედვით სისტემა აგროტექნიკური ღონისძიებებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ მიმდინარე წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების გეგმით დადგენილი მოსავლის მიღებას.

ამხ. ბენედიქტოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მტს-ების მუშაობის გასაუმჯობესებლად სერიოზულად უნდა შეეუდგეთ მოწინავე სადგურების მუშაობის გამოცდილების პროპაგანდას, ხოლო ამ გამოცდილების დანერგვა გავხადოთ მტს-ების და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთა მუშაობის შინაარსის უმნიშვნელოვანესი ნაწილი. მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს.

ამხ. ბენედიქტოვი შემდეგ ლაპარაკობს, თუ რა ამოცანები ეკისრებათ მტს-ებს მეცხოველეობის განვითარების საქმეში. მან მოწინავე კოლმეურნეობათა მაგალითით ცხადყო, რომ კოლმეურნეობებს უდიდესი შესაძლებლობანი მოეპოვებათ პირუტყვის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის შემდგომი ზრდისათვის. მიმდინარე წელს კოლმეურნეობებმა ძროხის სულადობა უნდა გაადიდონ ერთი მეოთხედით, ხოლო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო სულადობა — 11 პროცენტით და ცხვრის სულადობა — 19 პროცენტით.

მეცხოველეობის განვითარების სერიოზულ ნაკლოვანებათა ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ საკვების წარმოება ჩამორჩება საზოგადოებრივი მეცხოველეობის მოთხოვნილებას. განსაკუთრებით ცუდად მუშაობენ საკვების წარმოებაზე სმოლენსკის, ვოლოგდის, კოსტრომის, ნოვოსიბირსკის ოლქებსა და ბელორუსიაში.

მიმდინარე წელს გათვალისწინებულია თივის, სილოსისა და ძირხვენების წარმოებისა და დამზადების დიდი ზრდა. საჭიროა აგრეთვე დავნერგოთ მეცხოველეობის მეურნეობის გაძღოლის უფრო ინტენსიური სისტემა — პირუტყვის ბაგუო-ბანაკური მოვლა-შენახვა, ამასთან გამოვიყენოთ საძოვრების ნაკვეთ-მორიგეობითი სისტემა, მტს-ების დირექტორებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციას.

მეცხოველეობის აღმავლობა უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ამოცანაა, — ამბობს მომხსენებელი. — მუშაობა მეცხოველეობის საჭიროებათა მომსახურების დარგში მტს-ებისათვის ისეთივე პირველხარისხოვანი უნდა გახდეს, როგორც მემინდვრეობაში მუშაობა.

ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის ამოცანების წარმატებით შესრულება ბევრად არის დამოკიდებული ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სწორად გამოყენებაზე. მანქანების ყოველდღიური გამომუშავების გადიდება და მოცდენის შემცირება მტს-ების წარმატებითი მუშაობის განუყოფელი პირობაა. ამავე დროს ბევრ მტს-ში ურიგდებიან ტრაქტორების დიდ მოცდენას, განსაკუთრებით შემოდგომის პერიოდში. ამოცანა ის არის, რომ თვითეული სატრაქტორო აგრეგატი ყოველდღიურად ასრულებდეს დაწესებულ ცვლის ნორმას.

მტს-ებისა და კოლმეურნეობათა საქმიანობის გაუმჯობესებას დიდად შეუწყობენ ხელს სპეციალისტები, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად მრეწველობიდან და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიდან იგზავნებიან მტს-ებში სამუშაოდ. ოთხ თვეში მტს-ებში გაიგზავნა 10.813 ინჟინერი და 10.601 ტექნიკოსი. აქედან 1.802 კაცი დაინიშნა მტს-ების დირექტორებად, 5.000-მდე კაცი — მთავარ ინჟინრებად, 5.000-ზე მეტი — სარემონტო სახელოსნოების გამგეებად. გარდა ამისა, კოლმეურნეობებში მუდმივ სამუშაოდ მტს-ებში გაიგზავნა 104.644 აგრონომი და ზოოტექნიკოსი.

მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მტს-ების მუდმივ მუშათა უდიდესი არმიის სწორ გამოყენებას. ამ მიზნით საჭიროა ფართოდ დაინერგოს პროფესიათა შეთავსება.

მინისტრმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო კოლმეურნეობებისა და მტს-ებისადმი სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელობის დონის ამაღლების ამოცანას. სოფლის მეურნეობის ორგანოებში მაქსიმალურად უნდა შემცირდეს ყოველგვარი მიწერ-მოწერა, სასხდომო ფუსფუსი და განთავისუფლდნენ მტს-ების სპეციალისტები უწინარეს ყოვლისა კოლმეურნეობებში უშუალო საწარმოო მუშაობისათვის.

ლაპარაკობს რა საგაზაფხულო თესვისათვის მომზადების ამოცანებზე, მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კოლმეურნეობათა და მტს-ების უმნიშვნელოვანესი მუშაობა ამ საქმეში ის არის, რომ შეინახონ ხარისხოვანი თესლი, გაიტანონ სასუქები და განახორციელონ ზამთრის აგროტექნიკური ღონისძიებანი. მტს-ებმა წელსვე უნდა უზრუნველყონ სიმინდის, მზესუმზირის თესვა და კარტოფილის, კომბოსტოს, პამიდორის რგვა, როგორც წესი, კვადრატულ-ბუდობრივი და კვადრატული ხერხით ყველა ფართობზე.

წელს მოსკოვში იხსნება სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. საჭიროა, რომ მტს-ების მუშაკებმა ფართოდ გაიჩაღონ შეჯიბრება გამოფენაზე მონაწილეობის უფლებისათვის და მოაწყონ ბრძოლა იმისათვის, რომ კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა მიაღწიონ ისეთ მაჩვენებლებს, რომლებიც მათ მისცემს გამოფენაზე მონაწილეობის საპატიო უფლებას.

დასასრულ ამხ. ბენედიქტოვი ამბობს:

— მთელმა საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი მიიღო, როგორც სოფლის მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობის საბრძოლო პროგრამა, რომელიც შეესაბამება ჩვენი სამშობლოს მშრომელთა ძირეულ ინტერესებს. პლენუმის გადაწყვეტილებებმა გამოიწვია კოლმეურნე გლეხობის, მტს-ების მუშაკებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების უმაგალითო პოლიტიკური და საწარმოო აქტივობა. ნება მიბოძეთ თქვენი სახელით პირობა მივცე პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშებისა და სპეციალისტების ორმილიონიანი არმია მთელ კოლმეურნე გლეხობასთან ერთად ყოველ ღონეს იხმარს, რათა პირნათლად შეასრულოს მისთვის დაკისრებული სამუშაო ამოცანები. ამ სიტყვებს მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით უპასუხებს.

კამათში პირველი გამოვიდა სტავროპოლის მხარის პეტროვსკოეს მტს-ის დირექტორი ამხ. **ბელოუსოვი.** იგი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა გააძლიერა დახმარება კოლმეურნეობებისადმი მეცხოველეობის შრომატევადი პროცესების მექანიზაციაში, პირუტყვის სადგომების მშენებლობასა და საკვები ბაზის მომზადებაში. მტს-მა სასოფლო-სამეურნეო არტელებში მოაწყო კოლმეურნეების მიერ მოწინავეთა გამოცდილების გულდასმით შესწავლა.

ამხ. ბელოუსოვი ეხება სოფლის მეურნეობის, კერძოდ ისეთი დარგების შემდგომი მექანიზაციის საკითხებს, როგორიც არის მებაღეობა და მებოსტნეობა.

ტრიბუნაზეა უკრაინის მოწინავე კოლმეურნეობის — ჩერკასკის ოლქის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **ბურკაცკაია.**

— მტს-ების მუშაკთა თათბირი, — ამბობს იგი, — მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ პერიოდში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი აღნიშნავს რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს. ამ დღეებში უკრაინელი ხალხი განსაკუთრებული მადლობის გრძნობით მიაპყრობს თვალს დიდ რუს ხალხს, რომელიც მუდამ უანგარო დახმარებას უწევდა მას ბრძოლასა და შრომაში.

ამხ. ბურკაცკაიამ ილაპარაკა, თუ რა შედეგებს მიაღწია ხრუშჩოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელმა შარშან და რა გეგმები აქვს დასახული წელს. როგორ ფართოდ გაჩაღდა უკრაინაში სოციალისტური შეჯიბრება ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მიღებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობისათვის.

სიტყვა ეძლევა საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე მტს-ის — ლაგოდეხის მტს-ის მთავარ აგრონომს ამხ. **შავლაყაძეს.** ამ მტს-ში უკვე მუშაობს მექანიზატორთა ორი თაობა — მამები და შვილები. მათთვის ძირფასია მანქანა-ტრაქტორთა სადგური, რომელმაც ისინი გახადა კვალიფიციური მუშები, რომელთაც შეუძლიათ ტექნიკა გამოიყენონ ყველა წესის მიხედვით. კოლმეურნეობებში, რომლებსაც ეს მტს-ი უწევს მომსახურებას, მინდვრის სამუშაოები ძირითადად მანქანებით სრულდება. ახლა სადგურის მუშაკები ისახავენ ამოცანას — მთლიანად დაამთავრონ მინდვრის ძირითადი სამუშაოების მექანიზაცია და ფართოდ გაჩაღონ მეცხოველეობის ფერმებში შრომატევადი პროცესების მექანიზაცია. ამხ. შავლაყაძემ დაწვრილებით ილაპარაკა, თუ რა ღონისძიებანი აქვს დასახული მტს-ს, რათა წარმატებით შეასრულოს სოფლის მეურნეობის სამუშაოები 1954 წელს.

თათბირის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის პროფესორის ამხ. **ედელშტეინის** სიტყვა. იგი ამბობს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისა და პრაქტიკის მჭიდრო თანამშრომლობას, მოჰყავს იმის მრავალი მაგალითი, თუ როგორ იღებენ მოწინავე მებოსტნეები მოწინავე აგროტექნიკის გამოყენებით ნიადაგისა და ჰაერის სულ სხვადასხვა პირობებში უხვ მოსავალს. პროფესორმა ილაპარაკა თავისი მრავალი წლის მუშაობაზე — ქაღალდით თესვაზე.

ყაზახეთის სსრ ჯამბულის ოლქის ჩუს მტს-ის დირექტორი ამხ. **ადამენკო** ამბობს, რომ სოფლის მეურნეობის მშრომელებს — კოლმეურნეებს, მექანიზატორებს, სპეციალისტებს თავიანთ პატრიოტულ მოვალეობად მიაჩნიათ ძალღონის დაუზოგავად იშრომონ, რათა გაადიდონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

ამხ. ადამენკო აკრიტიკებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს იმის გამო, რომ იგი საკმაო ყურადღებას არ აქცევს სადგურს. ჩუს მტს-ში, ამბობს იგი, ჯერ კიდევ არ გამოუგზავნიათ არც ერთი სპეციალისტი, საჭირო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს მტს-ის სარემონტო ბაზა.

თათბირზე ილაპარაკეს აგრეთვე რიაზანის ოლქის ლებედიანის მტს-ის დირექტორმა ამხ. **პოსტნიკოვმა,** უკრაინის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. **სპივაკმა.**

თათბირი მუშაობას განაგრძობს. (საკდესი).

სტუდენტთა საღამო კრემლში

კაშკაშებენ კრემლის ლალისფერი ვარსკვლავები. ელექტროშუქით არის გაბრწყინვებული კრემლის დიდი სასახლე. ორკესტრების ხმა და სასიხარულო სიმღერები გაისმის ახალგაზრდობის შესახვედრად, რომელიც განიერი კიბეებით ადის დიდებულ გიორგის დარბაზში.

ამ საღამოსასწაულო საღამოს კრემლის დიდ სასახლეში 23 იანვარს დაიწყო მოსკოვის სტუდენტებისა და ტექნიკუმების მოსწავლეების საზამთრო არდადეგები. მოსკოვის პროფკავშირთა საქალაქო საბჭოს და საკავშირო ალკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მიწვევით კრემლში გამართულ საღამოზე შეიკრიბა ორი ათას ხუთასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი.

დედაქალაქის სტუდენტებთან ერთად კრემლში მოვიდნენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ახალგაზრდობის წარმომადგენლები, რომლებსაც შესაძლებლობა მიეცათ ისწავლონ საბჭოთა კავშირში. აქ არიან ჩინელი და რუსი სტუდენტები, კორეელი და უკრაინელი ქალიშვილები და ჭაბუკები. გაისმის სიმღერები უნგრულ, ჩეხურ, მონღოლურ ენებზე.

სიმღერას, თამაშს და ცეკვას ცვლიდა დედაქალაქის ხელოვნების ოსტატთა გამოსვლები.

სტუდენტთა დღესასწაულმა კრემლში შუაღამემდე გასტანა. (საკდესი).

ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე გამოვიდა „დებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა „დებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“. გამოცემის ტირაჟია 150 ათასი ცალი. „დებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ გამომცემლობამ გამოუშვა აგრეთვე სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. (საქდესი).

ქართული სიმფონიური მუსიკის კონცერტები

კიშინიოვი, 25 იანვარი. (საკდესი). გუშინ აქ გაიმართა ქართული სიმფონიური მუსიკის საბოლოო კონცერტი. მოლდავეთის ფილარმონიის ორკესტრმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის შ. აზმაიფარაშვილის ხელმძღვანელობით შეასრულა კომპოზიტორების დ. არაყიშვილის — ოპერის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ შესავალი, ზ. ფალიაშვილის — ოპერა „დაისის“ შესავალი და სხვ.

წარმატებით ჩაიარა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ა. მ. ბალანჩივაძის საავტორო კონცერტმა.

საზეიმო სესია, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 30 წლისთავისადმი

25 იანვარს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტში—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის ფილიალში გაიმართა სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 30 წლისთავისადმი.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

სესიის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის ფილიალის დირექტორის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ვ. ესაიაშვილისა „ვ. ი. ლენინი კომუნიზმის დიდი თეორეტიკოსი“, უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ლ. ებანოიძისა — „ვ. ი. ლენინი ხალხთა მეგობრობის, როგორც საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ძლიერების წყაროს შესახებ“ და უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ნ. მახარაძისა „ვ. ი. ლენინი საქართველოში სოციალისტური მშენებლობის ამოცანების შესახებ“.

(საქდესი).

ვ. მ. მოლოტოვის განცხადება

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირზე 1954 წლის 25 იანვარს

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონო თავმჯდომარევ, ბატონო მინისტრებო!

საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სპბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების ეს თათბირი ფართო საერთაშორისო საზოგადოებრივი წრეების ყურადღებას იპყრობს.

ამ თათბირისაგან ბევრი მოელის დიდმნიშვნელოვან შედეგებს.

არის პირდაპირ საწინააღმდეგო აზრებიც.

როგორც ცნობილია, ზოგიერთ წრეებში წინასწარ აცხადებენ, რომ ბერლინის თათბირი განწირულია ჩაფუშვად და. რომ თითქოს ახლავე, როცა ბერლინის თათბირი ჯერ არც კი შესდგომია საქმეს, უნდა მომზადდეს საზოგადოებრივი აზრი მისი გარდუვალი ჩაფუშვისათვის. ასეთი განცხადებანი, რასაკვირველია, იმათგან როდი გამომდინარეობს, ვისაც ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ ბერლინის თათბირის კეთილმოსურნენი.

რაც შეეხება სპბჭოთა მთავრობას, მას არ შეუძლია მიიღოს იმათი თვალსაზრისი, ვინც წინასწარ მზად არის დაეთანხმოს ბერლინის თათბირის უშედეგობას. ვფიქრობ, რომ ჩვენ შორის, თათბირის მონაწილეთა შორის, აღნიშნული თვალსაზრისი საერთოდ ვერ ჰპოვებს თანაგრძნობას.

ბერლინის თათბირს წინ უძღოდა საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი ნოტების გაცვლისა, რომლებშიც სამმა მთავრობამ — საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებმა, აგრეთვე სსრ კავშირის მთავრობამ დაწვრილებით ჩამოაყალიბეს თავიანთი თვალსაზრისი ამ თათბირის ამოცანების შესახებ. აზრთა ამ გაცვლამ ცხადყო, რომ მიუხედავად ამა თუ იმ საკითხში ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა პოზიციების სხვადასხვაობისა, სავსებით მომწიფდა ამ სახელმწიფოთა წარმომადგენლების თათბირის მოწვევა.

მართლაც, მილიონობით ადამიანი მოელის პასუხს კითხვაზე, ხელს შეუწყობს თუ არა ეს თათბირი მშვიდობის განმტკიცებას, საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებას და ევროპაში უშიშროების ნამდვილ უზრუნველყოფას. იმდენად, რამდენადაც ბერლინის თათბირი დააკმაყოფილებს ამ ძირითად ამოცანას, იგი შეასრულებს თავის დადებით როლს საერთაშორისო ურთიერთობის შემდგომ განვითარებაში.

ამ თათბირის დღის წესრიგი წინასწარ არ ყოფილა დადგენილი. გამოირკვა, რომ უფრო მიზანშეწონილია, თუ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი თვითონ დაადგენს თავის დღის წესრიგს. რაც შეეხება სპბჭოთა დელეგაციას, იგი იმას ემყარება, რომ ამ თათბირის დღის წესრიგის განსაზღვრისას საჭიროა ეს საკითხი განვიხილოთ არა ფორმალურად, არამედ არსებითად. საჭიროა ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ ჩვენი თათბირის დღის წესრიგში შევიტანოთ ისეთი საკითხები, რომელთა განხილვა ხელს შეუწყობს მშვიდობის განმტკიცებას და საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შემდგომ შენელებას, რა მხრივაც უკვე შარშან მიღწეულ იქნა გარკვეული შედეგები. მართლაც, არ შეიძლება ჯეროვნად არ შევაფასოთ კორეაში ომის დამთავრებისა და დროებითი ზავის დადების ფაქტი, რაც მიღწეული იყო, უწინარეს ყოვლისა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ინიციატივის შედეგად. ამ მოვლენის დადებითმა შედეგებმა თავი იჩინა აზიაშიც, ევროპაშიც, ამერიკაშიც.

იმ საკითხებიდან, რომლებიც უნდა განვიხილოთ, ჯერ შევჩერდები გერმანიის საკითხზე.

შეიძლება ამ თათბირის ყველა მონაწილეს შორის შეთანხმებულად ჩავთვალოთ, რომ გერმანიის საკითხი უნდა შევიტანოთ ჩვენი თათბირის დღის წესრიგში. ამასთან, სავსებით ცხადია, რომ გერმანიის საკითხი არ შეიძლება განვიხილოთ ფორმალურად, გამოირკვა, რომ უფრო მიზანშეწონილია, თუ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი თვითონ დაადგენს თავის დღის წესრიგს. რაც შეეხება სპბჭოთა დელეგაციას, იგი იმას ემყარება, რომ ამ თათბირის დღის წესრიგის განსაზღვრისას საჭიროა ეს საკითხი განვიხილოთ არა ფორმალურად, არამედ არსებითად. საჭიროა ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ ჩვენი თათბირის დღის წესრიგში შევიტანოთ ისეთი საკითხები, რომელთა განხილვა ხელს შეუწყობს მშვიდობის განმტკიცებას და საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შემდგომ შენელებას, რა მხრივაც უკვე შარშან მიღწეულ იქნა გარკვეული შედეგები. მართლაც, არ შეიძლება ჯეროვნად არ შევაფასოთ კორეაში ომის დამთავრებისა და დროებითი ზავის დადების ფაქტი, რაც მიღწეული იყო, უწინარეს ყოვლისა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ინიციატივის შედეგად. ამ მოვლენის დადებითმა შედეგებმა თავი იჩინა აზიაშიც, ევროპაშიც, ამერიკაშიც.

იმ საკითხებიდან, რომლებიც უნდა განვიხილოთ, ჯერ შევჩერდები გერმანიის საკითხზე.

შეიძლება ამ თათბირის ყველა მონაწილეს შორის შეთანხმებულად ჩავთვალოთ, რომ გერმანიის საკითხი უნდა შევიტანოთ ჩვენი თათბირის დღის წესრიგში. ამასთან, სავსებით ცხადია, რომ გერმანიის საკითხის განხილვა განუყრელად დაკავშირებულია ევროპაში უშიშროების უზრუნველყოფის საერთო საკითხთან. გერმანიის პრობლემის მხოლოდ ასეთი გადაწყვეტა იქნება მტკიცე და სამართლიანი, რაც ხელს შეუწყობს ევროპაში მშვიდობის განმტკიცებას.

ცნობილია, რომ მთავარი პასუხისმგებლობა როგორც პირველი მსოფლიო ომის, ისე მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებისათვის გერმანიას ეკისრება. კაიზერ ვილჰელმის ეპოქაში გერმანიის მილიტარიზმის აგრესიულმა ძალებმა გააჩაღეს პირველი მსოფლიო ომი. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის მილიტარიზმი სასტიკად დამარცხდა ამ ომში, ჰიტლერულმა გერმანიამ გააჩაღა მეორე მსოფლიო ომი, რომელიც კიდევ უფრო მძიმე დამარცხებით დამთავრდა.

აგრეთვე ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომი ევროპის ხალხებს აურაცხელ მსხვერპლად დაუჯდათ. ამ მსხვერპლმა ბევრად გადააჭარბა იმ უბედურებასა და გაჭირვებას, იმ სისხლსა და ადამიანთა მსხვერპლს, რაც გამოიწვია პირველმა მსოფლიო ომმა. უდიდესი მსხვერპლი, რომ აღარაფერი ვთქვათ უდიდეს ლონისძიებებზე, გაიღეს ჩვენი ქვეყნის ხალხებმა, საბჭოთა კავშირმა. მილიონობით საბჭოთა ოჯახმა დაკარგა ყველაზე მახლობელი ადამიანები — ქმრები, შვილები, ძმები. უდიდესი მსხვერპლი გაიღეს საბჭოთა ქალებმაც. ყოველივე ამას სსრ კავშირის ხალხები ვერასოდეს ვერ დაივიწყებენ.

ჩვენ სავსებით გვესმის აგრეთვე იმ მსხვერპლის მნიშვნელობა, რაც გაიღეს სხვა ხალხებმა, რომლებმაც ჰიტლერული აგრესია განიცადეს. ჩვენთვის გასაგებია გერმანელი ხალხის გრძნობებიც, რომელიც უაზროდ ჩაება გერმანიის აგრესიულმა მილიტარიზმმა როგორც პირველ, ისე მეორე მსოფლიო ომში და რომელიც დღემდე განიცდის გერმანიის მილიტარიზმის პოლიტიკის გამანადგურებელ შედეგებს. ყოველივე ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ ახლანდელ პირობებში გერმანიის საკითხი უნდა გადაიჭრას იმგვარად, რომ შეუძლებელი გახდეს გერმანიის მილიტარიზმის ახალი ცდები — გააჩაღოს მესამე მსოფლიო ომი. ეს ნიშნავს, რომ გერმანიის საკითხის განხილვა განუყრელად დაკავშირებულია ევროპაში უშიშროების უზრუნველყოფასთან. როგორც ისტორიის გამოცდილება გვიჩვენებს, ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფისთვისაც.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს, ისე მისი დამთავრების შემდეგაც ოთხი სახელმწიფოს მთავრობებს, რომლებიც წარმოდგენილი არიან ამ თათბირზე, ერთი აზრი ჰქონდათ, საერთო შეხედულება ჰქონდათ ამ საკითხზე. საკმარისია, ამასთან დაკავშირებით, გავიხსენოთ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სსრ კავშირის მთავრობათა მეთაურების იალტის 1945 წლის თებერვლის კონფერენციის გადაწყვეტილებანი, აგრეთვე შეთანხმებანი, რომლებიც იმავე მთავრობებმა მიიღეს პოტსდამის კონფერენციაზე 1945 წლის აგვისტოში.

იალტის კონფერენციის გადაწყვეტილებანი ითვალისწინებენ, რომ „ურყევი მიზანია გერმანიის მილიტარიზმისა და ნაციზმის მოსპობა და იმის გარანტიის შექმნა, რომ გერმანიას არასოდეს აღარ შეეძლოს მთელი მსოფლიოს მშვიდობის დარღვევა“. ეს გადაწყვეტილებანი სრულ მხარდაჭერას პოულობდნენ საფრანგეთშიც და ყველა სხვა გაერთიანებულ ერშიც. პოტსდამის კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოებმა, დაადასტურეს რა იალტის აღნიშნული გადაწყვეტილებანი, პოტსდამის დეკლარაციაში გერმანიის შესახებ განაცხადეს, რომ „გერმანიის მილიტარიზმი და ნაციზმი აღმოფხვრილ იქნება, და მოკავშირეები, ერთმანეთთან თანხმობით, ამჟამად და მომავალში, მიიღებენ სხვა ზომებსაც, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ გერმანია ვერასოდეს ვეღარ დაემუქროს თავის მეზობლებს ან მშვიდობის შენარჩუნებას მთელ მსოფლიოში“. ამ გადაწყვეტილებებს შეუერთდა საფრანგეთიც. მათ მხარი დაუჭირეს მთელი მსოფლიოს ხალხებმა.

ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის მოთხოვნების შესაბამისად გერმანიის საკითხის გადაჭრა შეესაბამება არა მარტო ევროპის ყველა ხალხისა და განსაკუთრებით გერმანიის მეზობელი სახელმწიფოების ინტერესებს, რომლებიც არაერთხელ გამხდარან გერმანიის აგრესიული მილიტარიზმის მსხვერპლი, არამედ შეესაბამება თვით გერმანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებსაც. ზემოაღნიშნულ პოტსდამის დეკლარაციაში გერმანიის შესახებ გათვალისწინებულია გერმანიის საკითხის გადაჭრის ეს მხარეც. დეკლარაციაში ნათქვამია: „მოკავშირეებს განზრახვა არა აქვთ მოსპონ ან მონობაში ჩააგდონ გერმანელი ხალხი. მოკავშირეებს განზრახული აქვთ შესაძლებლობა მისცენ გერმანელ ხალხს მოემზადოს იმისათვის, რომ შემდეგში განახორციელოს თავისი ცხოვრების რეკონსტრუქცია დემოკრატიულ და მშვიდობიან საფუძველზე. თუ გერმანელი ხალხის საკუთარი ღონისძიებანი განუწყვეტლივ მიმართული იქნება ამ მიზნის მიღწევისაკენ, მისთვის შესაძლებელი იქნება დროთა მსვლელობაში დაიკავოს ადგილი მსოფლიოს თავისუფალ და მშვიდობიან ხალხთა შორის“. იგივე აზრი ჯერ კიდევ 1942 წელს გამოთქმულია ი. ბ. სტალინის შესანიშნავ სიტყვებში: „ისტორიის გამოცდილება გვეუბნება, რომ ჰიტლერები მოდიან და მიდიან, გერმანელი ხალხი კი, გერმანიის სახელმწიფო კი — რჩება“.

ინარჩუნებენ თუ არა ამჟამად ძალას ეს გადაწყვეტილებანი გერმანიის განვითარების მშვიდობისმოყვარული და დემოკრატიული გზების შესახებ? ამაზე ორი აზრი არ უნდა იყოს. როგორც საბჭოთა ხალხმა, ისე აგრეთვე საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხებმა გადაწყვეტილებანი გერმანიის საკითხზე უნდა მიიღონ ამ საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად, რომლებიც მიიღეს ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირის მთავრობებმა და საფრანგეთმა, რომელიც მათ შეუერთდა. როგორც იალტაში მიღებულმა გადაწყვეტილებებმა, ისე პოტსდამის შეთანხმებებმა და ამ გადაწყვეტილებებში მოცემულმა ძირითადმა მიზნებმა გერმანიის საკითხის შესახებ უნდა დასახონ ის მთავარი მართულება, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ბერლინის თათბირის გადაწყვეტილებანი გერმანიის საკითხზე. მაშინ ეს გადაწყვეტილებანი ევროპაში მშვიდობის განმტკიცების ინტერესების შესაბამისი იქნება. მაშინ ევროპის ხალხთა ურთიერთობა, აგრეთვე ურთიერთობა გერმანელ ხალხთან განვითარდება ნორმალურად, საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების გზით.

ევროპაში ომის შემდეგ შექმნილი მდგომარეობა სავსებით ადასტურებს აღნიშნულ გადაწყვეტილებათა სისწორეს, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ გერმანიის საკითხის მოწესრიგება საჭიროა ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის მოთხოვნების შესაბამისად. აქედან გამომდინარეობს, რომ გერმანიის ერთიანობის აღდგენისა და სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის საკითხი განუყრელად დაკავშირებულია საკითხთან — ერთიანი გერმანია მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული სახელმწიფო იქნება თუ იგი კვლავ მილიტარისტული და აგრესიული სახელმწიფო გახდება. აქედან აგრეთვე გამომდინარეობს, რომ შეუწყნარებელია გერმანია მთლიანად ან გერმანიის რომელიმე ნაწილი ჩაბმულ იქნას „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ მსგავს დაჯგუფებაში, რომელიც წარმოადგენს ევროპის ქვეყნების ერთი ჯგუფის სამხედრო ბლოკს, მიმართულს ევროპის სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ. მაგალითად, „ევროპის თავდაცვითის გაერთიანებაში“ დასავლეთ გერმანიის ჩაბმის შეუთავსებლობა ევროპაში უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანების გადაწყვეტასთან ჩანს უკვე იქიდან, რომ სახელმწიფოთა ასეთი სამხედრო ბლოკის შექმნა არათუ შეუძლებელს გახდის გერმანიის ეროვნული ერთიანობის აღდგენას, არამედ გარდუვალადაც გამოიწვევს ევროპაში ახალი ომის საშიშროების სერიოზულ გაძლიერებას. სწორედ ამას გვასწავლის XX საუკუნის ისტორიის გამოცდილება, რამდენადაც არც ერთ ჩვენგანს არა აქვს საფუძველი დაეჭვდეს, რომ გერმანიის აღდგენილი მილიტარიზმი ადრე თუ გვიან, მაგრამ გარდუვალად ნაკუწ-ნაკუწად აქცევს ყოველგვარ საერთაშორისო შეთანხმებას, რომლებსაც ახლა ეთანხმებიან მისი დღევანდელი წარმომადგენლები, ელიან რა გადაწყვეტილების მიღებას „ევროპის არმიის“ შექმნის შესახებ.

ვინც ახლა თავს ინუგეშებს ილუზიებით, რომ შესაძლებელია გერმანიის მილიტარიზმი შევაკავოთ ეგრეთწოდებული „ევროპის არმიის“ შექმნის თავდაპირველი გეგმების ფარგლებში, მან, შესაძლოა, მომავალში ინანოს ეს, მაგრამ უკვე გვიან იქნება. თუ გერმანიის მილიტარიზმს გზა გაეხსნა აღორძინებისათვის, მაშინ, როგორც ამას ორი მსოფლიო ომის ისტორიული გამოცდილება მოწმობს, ახალი მსოფლიო ომის საფრთხე ულმობელი, რეალური და გარდუვალი გახდება. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ევროპის ხალხები დიდად არიან დაინტერესებულნი იმ საკითხით, თუ რა გზით წავა გერმანიის შემდგომი განვითარება, — სხვა ქვეყნებთან ერთიანი დემოკრატიული გერმანიის მშვიდობიანი თანამშრომლობის გზით თუ ახალი ომის მომზადებისა და გაჩაღების გზით, იმ გზით, რომელსაც, ამასთან ერთად, მოჰყვება ძმათამკვლელა ომი თვით გერმანელთა შორის.

უნდა ვიფიქროთ გერმანიის მილიტარიზმის აღდგენის პოლიტიკის სხვა სერიოზულ შედეგებზეც. ეგრეთწოდებული „ევროპის არმიის“ შექმნამ ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, დასავლეთ ევროპის რამდენიმე სახელმწიფოს არმიის შექმნამ, რომელშიც მთავარი სამხედრო ძალა იქნება დასავლეთ გერმანიის არმია, რომელსაც რევანშისტული აგრესიული მიზნები აქვს, შეიძლება გამოიწვიოს ევროპის სხვა სახელმწიფოთა თავდაცვითი კავშირის შექმნა მათი უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით. ამ შემთხვევაში, იმის ნაცვლად, რომ ევროპის ხალხებმა იზრუნონ ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების ერთობლივი უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის, ევროპის ქვეყნები გაიტიშებოდნენ ერთიმეორის მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებებად, რაც გარდუვალად გამოიწვევს ევროპაში ახალი ომის საფრთხის გაძლიერებას.

ევროპაში ასეთი საშიში მდგომარეობის შექმნას განსაკუთრებით ხელს გაუწყობენ ანგარიში კონტინენტური ევროპის ისეთმა ქვეყნებმა, როგორიც არიან სსრ კავშირი და საფრანგეთი. სავსებით გასაგებია, რომ საფრანგეთში მატუელობს „ევროპის არმიის“ მოწინააღმდეგეთა რიცხვი, არმიისა, სადაც გაბატონებული იქნება დასავლეთ გერმანიის არმია ჰიტლერელი გენერლების მეთაურობით, რომლებმაც გვიჩვენეს თავიანთი სახე, როგორც საფრანგეთის ტერიტორიის ამასწინანდელმა ოკუპანტებმაც.

საბჭოთა ხალხს, რომელმაც განიცადა ის, რომ მისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ოთხ წელიწადს ოკუპირებული ჰქონდა ჰიტლერის არმიას და რომელმაც გაიღო უდიდესი მსხვერპლი — ადამიანთა და მატერიალურ ფასეულობათა სახით — გერმანიის წინააღმდეგ ომში, არ შეუძლია არ გამოიჩინოს ყოველმხრივი ზრუნვა, რათა ჯეროვნად იზრუნონ თავის უშიშროება მომავალში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ინტერესები თანაუმთხვევა როგორც საფრანგეთის, ისე პოლონეთის, როგორც ინგლისისა და ბელგიის, ისე ჩეხოსლოვაკიის, აგრეთვე ევროპის სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხების, და არა მარტო ევროპის ხალხების, ინტერესებს.

ბი სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირი, ისევე, როგორც ევროპის სხვა ქვეყნები, და უწინარეს ყოვლისა გერმანიის მეზობელი სახელმწიფოები, კანონიერად აყენებენ კითხვას, რომ გერმანიის პრობლემის გადაწყვეტა შეესაბამებოდეს ევროპაში უშიშროების უზრუნველყოფის მოთხოვნებს. ამის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ გერმანია გაერთიანდება როგორც მშვიდობიანი და დემოკრატიული სახელმწიფო, თუ ის არ აღორძინდება, როგორც აგრესიული ძალა. გერმანიის პრობლემის მხოლოდ ასეთი გადაჭრა შეესაბამება ევროპის ხალხთა ინტერესებს და ამასთანავე თვითონ გერმანელი ხალხის ძირეულ ინტერესებს. ამ საკითხის სხვაგვარი გადაჭრა გერმანელ ხალხს აყენებს იმ გზაზე, რომელიც ეროვნულ თვითმკვლელობას უქადის მას.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ამ ამოცანების გადაჭრა მოითხოვს განხორციელდეს საჭირო ღონისძიებანი, რათა არ იქნას დაშვებული ისეთი მდგომარეობა, როცა გერმანიის ბედს კვლავ აიღებდნენ ხელში მილიტარისტები და რევანშისტები, ღონისძიებანი, რათა ძალაუფლებისაკენ გზა დაეხშოს იმ ელემენტებს გერმანიაში, რომლებიც ახლაც არ ფარავენ თავიანთ აგრესიულ და რევანშისტულ გეგმებს ევროპაში.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა გავიხსენოთ ზოგიერთი დოკუმენტი, რომელთაც დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვთ.

არსებობს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება გერმანიის მილიტარიზმის მხრივ აგრესიის ახალი აქტების თავიდან აცილების შესახებ. ამავე მიზნებს ემსახურება ინგლის-საბჭოთა კავშირის 1942 წლის ხელშეკრულება. არსებობს აგრეთვე საფრანგეთ-ინგლისის 1947 წლის ხელშეკრულება, რომელსაც იგივე დანიშნულება აქვს. დასასრულ, არ შეიძლება შევამციროთ გერმანიის საკითხზე პოტსდამის გადაწყვეტილებათა მნიშვნელობა. გარდა ყოველივე ეს არ შეიძლება დაედოს და არ უნდა დაედოს საფუძვლად იმას, რომ ერთობლივად განვახორციელოთ ისეთი კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც შეესაბამებიან ევროპის ხალხთა მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანა. ამისათვის საჭიროა შევთანხმდეთ იმაზე, რომ აღარ გადაიდოს ამასთან დაკავშირებული მთავარი საკითხების გადაჭრა, რომლებიც შეეხება გერმანიას — საბავო ხელშეკრულების დადება გერმანიასთან და გერმანიის სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენა დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარულ საწყისებზე.

ყოველივე ნათქვამი ამტკიცებს, თუ რამდენად მშვიდობიან არის დაკავშირებული გერმანიის საკითხი ევროპის უშიშროების პრობლემასთან.

თავის მხრივ ევროპის უშიშროების საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი დროის ძირითად ამოცანასთან — საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების ამოცანასთან.

სამი სახელმწიფოს და სსრ კავშირის მთავრობებს შორის ნოტების გაცვლის დროს მიღწეული არ ყოფილა შეთანხმება, რომ მოწვეულ იქნას ხუთი სახელმწიფოს თათბირი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობით საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა საკითხზე. ამასთანავე შესაძლებლად იქნა მიჩნეული თვით თათბირზე დავბრუნებოდით ამ საკითხს.

საბჭოთა მთავრობა ფიქრობს, რომ ეს საკითხი უაღრესად სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს ბერლინის თათბირის მხრივ. ამასთან ჩვენ ვაცხადებთ, რომ მზად ვართ შესაბამისი კონკრეტული წინადადება შემოვიტანოთ ხუთი სახელმწიფოს თათბირის მოწვევის შესახებ, რომელიც შეიძლება გათმართოს ბერლინის თათბირის რამდენიმე ხნის შემდეგ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობით ხუთი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევა დიდი ხანია მომწიფდა. ახლანდელ პირობებში მხოლოდ ყველა დიდი სახელმწიფოს გაერთიანებული ღონისძიებებთან ერთად უზრუნველყოფენ მთელი საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის შენელებას და მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების შესახებ შესაბამის შეთანხმებათა მიღწევას.

როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ეკისრება „მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის“. აგრეთვე ცნობილია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად, უშიშროების საბჭომ ყველა დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება საერთაშორისო მშვიდობის დაცვის შესახებ უნდა მიიღოს ხუთი დიდი სახელმწიფოს — საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირისა და ჩინეთის ერთხმივობით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ეს უმნიშვნელოვანესი დებულებანი ამჟამად ვერ შესრულდება თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენას ეწინააღმდეგება ერთ-ერთი სახელმწიფო, სახელდობრ — ამერიკის შეერთებული შტატები. მაგრამ ეს რომ არანორმალური და შეუწყნარებელია, იმდენად აშკარაა, რომ სწორი არ იქნება შევურიგდეთ შექმნილ მდგომარეობას.

სწორედ ახლანდელ პირობებში ხუთი დიდი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება. ასეთი თათბირის მოწვევა დიდად შეუწყობდა ხელს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და, მაშასადამე, საერთო მშვიდობის განმტკიცებას.

ხუთი სახელმწიფოს თათბირის მოწვევა აუცილებელია, უწინარეს ყოვლისა, იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს გადაულებელ შეიარაღებას. ეს აუცილებელია, რამდენადაც გამალებული შეიარაღების განგრძობის შედეგად არა მარტო აუტანელი ხდება ხალხებისათვის შეიარაღების ტვირთი, არამედ აგრეთვე კიდევ უფრო მწვავდება საერთაშორისო ურთიერთობა და იქმნება სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებები როგორც ერთ მხარეზე, ისე მეორე მხარეზე.

ზოგიერთი სახელმწიფო ახორციელებს სხვის ტერიტორიებზე, თავის საზღვრებს დაშორებით მრავალი სამხედრო ბაზის შექმნის შორს გამიზნულ გეგმებს. ამასთან ამბობენ, თითქოს ეს ხდება თავდაცვის ინტერესებისათვის, თუმცა ეს არ სჯერათ არც იმათ, ვინც ამას ამბობს, არც იმათ, ვინც ასეთ განცხადებებს ისმენს. მეორე მხრივ, ყველასათვის აშკარაა, რომ ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებში, ჩრდილოეთ აფრიკის ტერიტორიაზე, ახლო და შუა აღმოსავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოს ტერიტორიებზე ამერიკის სამხედრო ბაზების შექმნას საერთო არა აქვს რა თავდაცვის მიზნებთან. არის ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო და არასამხედრო მოღვაწეთა ბევრი განცხადება, რომლებშიც პირდაპირ აღნიშნულია, რომ სხვის ტერიტორიებზე ამერიკის მრავალი სამხედრო ბაზის შექმნა მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. მაგრამ ასეთი პოლიტიკა და ამგვარი გეგმები თვითონვე უტეხენ სახელს თავის თავს ხალხების თვალში და მათ აუცილებელი ჩაფუშვა მოელით.

ყოველივე ნათქვამიდან უნდა გავაკეთოთ გარკვეული დასკვნები.

საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, გავიაზროთ, რომ გადაუდებლად უნდა განხორციელდეს ისეთი ღონისძიებანი, როგორიც არის მთელი შეიარაღების, განსაკუთრებით დიდი სახელმწიფოების შეიარაღების, მნიშვნელოვანი შემცირება, რომ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვა, ამ აკრძალვისადმი ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის დაწესება და, როგორც პირველი ნაბიჯი ამისაკენ, საჭიროდ მიგვიჩნიოთ, რომ მთავრობებმა უარი თქვან ატომური იარაღის გამოყენებაზე. რაც შეეხება ამ უკანასკნელ საკითხს, საბჭოთა დელეგაცია, რა თქმა უნდა, დაეყრდნობა იმ ფაქტს, რომ ატომის საკითხში ამ ბოლო დროს დაისახა განხრის გარკვეული წესი, რომელიც უნდა დავიცვათ.

ხუთი სახელმწიფოს თათბირის მოწვევას და ამ თათბირზე საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა, მათ შორის გამალებული შეიარაღების შემცირების ღონისძიებათა განხილვას პირველხარისხოვანი საერთაშორისო მნიშვნელობა ექნებოდა. არ არის ისეთი ხალხი, არ არის ისეთი სახელმწიფო, რომელიც დაინტერესებული არ იყოს იმით, რომ, ყოველ შემთხვევაში, საფუძველი ჩაეყაროს ამ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემების ნაყოფიერ განხილვას. ბერლინის ახლანდელ თათბირს შეუძლია, თავის მხრივ, ესა თუ ის კონკრეტული ნაბიჯი გადადგას წინ იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს გამალებული შეიარაღების შეწყვეტას.

არ შეიძლება შეუწყნარებლად არ ჩავთვალოთ აგრეთვე იმ საკითხების შემდგომი გადადება, რომლებიც შეეხება დიდი სახელმწიფოების ურთიერთობის მოწესრიგებას, ურომლისოდაც შეუძლებელია უზრუნველვყოთ ბევრი საერთაშორისო პრობლემის გადაჭრა და წარმატებით შეუწყოთ ხელი საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას. ამასთან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მოწესრიგდეს საკითხები, რომლებიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შეეხება, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხი. ამ საქმეში წინასწარი დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ფრიად სერიოზული საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიური პრობლემების მოწესრიგებისათვის, მათ შორის კორეის საკითხის გადაჭრისათვის.

როგორც ცნობილია, კორეის საკითხზე პოლიტიკური კონფერენციის მოწვევას გადაეწყობა სერიოზული სიძნელენი. დღემდე არ არის მიღწეული შეთანხმება კონფერენციის მონაწილეთა შემადგენლობის საკითხზეც კი. არის აგრეთვე სხვა მწვავე წინააღმდეგობანი მხარეებს შორის, რაც გამოიხატა სამხედრო ტყვეთა საკითხზე დაზავების შესახებ შეთანხმების პირობების უხეში დარღვევის ფაქტებით.

ყოველივე ეს მცირედ როდია დაკავშირებული იმასთან, რომ ზოგიერთ დიდ სახელმწიფოთა შორის არ არის ნორმალური ურთიერთობა. არავითარ ეჭვს არ იწვევს ის, რომ ჩვენი სახელმწიფოს თათბირის მოწვევა ხელს შეუწყობდა მთელ რიგ სიძნელეთა აღმოფხვრას, რომლებიც ამჟამად არის როგორც კორეის საკითხში, ისე აგრეთვე ზოგიერთი სხვა აქტუალური საერთაშორისო პრობლემის გადაჭრაში.

არიან ქვეყნები, რომლებიც ჯერ კიდევ უარს ამბობენ „ცნონ“ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. მაგრამ ფაქტების „არცნობა“ და, მით უმეტეს, უდიდესი ისტორიული მოვლენების „არცნობა“ არასოდეს არ იძლეოდა დადებით შედეგებს. შემდგომი უგულებელყოფა ძირეული ცვლილებებისა, რომლებიც აზიაში მოხდა და რომლებიც გამოიხატა უწინარეს ყოვლისა ჩინელი ხალხის გამარჯვებით და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნით, იწვევს სახელმწიფოთა ურთიერთობის გამწვავებას და აბრკოლებს მომწიფებულია საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებას, რითაც უაღრესად დაინტერესებულია მსოფლიოს ყველა ხალხი.

უკვე 25 დიდმა და მცირე სახელმწიფომ, რომელთა მოსახლეობაც დაახლებით 1 მილიარდ კაცს შეადგენს, დაამყარა ან ამყარებს დიპლომატიურ ურთიერთობას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. ასეთ სახელმწიფოთა რიცხვი ერთიორად გადიდდებოდა, უკვე 50 ან კიდევ მეტს მიაღწევდა, ამ ბუნებრივ გზაზე რომ არ იყოს შექმნილი ხელოვნური ზღუდეები.

აზიაში არ დარჩენილა არც ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელსაც არ დაემყარებინოს პოლიტიკური ურთიერთობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, ყოველ შემთხვევაში, არ აბირებდეს მოაწესრიგოს პოლიტიკური ან ეკონომიური ურთიერ

ვ. მ. მოლოტოვის განცხადების დასასრული

არც ერთი ისეთი სახელმწიფო, რომელსაც აქამდე გადაეწყვიტოს — დაამყაროს ნორმალური ურთიერთობა სახალხო-დემოკრატიულ ჩინეთთან. მაგრამ თუ რას მოწმობს ეს, გასაგებია ისედაც, შემდგომი განმარტება რომ არ მოვიყვანოთ.

საბჭოთა მთავრობა იმით ხელმძღვანელობს, რომ ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. ხუთი სახელმწიფოს თათბირის მოწვევა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობით, ბევრად შეუწყობდა ხელს მთელი საერთაშორისო ვითარების შენელებასა და გაჯანსაღებას.

დასასრულ, თუ ჩვენ ყველანი მართლაც ვესწრაფვით საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, ამან თავისი გამოხატულება უნდა ჰპოვოს საერთაშორისო ურთიერთობაშიც, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოთა შორის სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებასთან.

ზოგიერთი სახელმწიფოები და, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატები, ამ უკანასკნელ დრომდე ახორციელებენ ისეთ პოლიტიკას, რომლის მიზანია სსრ კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ვაჭრობის აკრძალვა. ამისათვის სამი წლის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გაიუქმა მრავალი წლის განმავლობაში მოქმედი სავაჭრო შეთანხმება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის. აგრეთვე ცნობილია, რომ შეერთებულ შტატებში არსებობს ბეტლის კანონი იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ამერიკის ბლოკის ქვეყნებს ფაქტიურად ეკრძალებათ სსრ კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ვაჭრობა.

ამერიკის შეერთებული შტატების ეს და მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი მოითხოვენ არა მარტო ყოველგვარი სიძნელის შექმნას საერთაშორისო ვაჭრობაში, არამედ საერთაშორისო ურთიერთობის გამწვავებასაც. მიაღწია თუ არა თავის მიზანს ყველა ამ დაბრკოლებამ და დისკრიმინაციამ, რომლებიც შექმნილია საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების გზაზე? ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ყველა ამ დისკრიმინაციულმა ღონისძიებამ სსრ კავშირის, ჩინეთისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიმართ არათუ სრულიადაც ვერ შეაჩერა ეკონომიური აღმავლობა ამ სახელმწიფოებში, არამედ ხელი შეუწყო მეორე მსოფლიო ბაზრის შექმნას და ამ ქვეყნებს შორის ეკონომიური ურთიერთობის მნიშვნელოვან განმტკიცებას. თვითონ განსაჯეთ, თუ რას მოგვცემს საერთაშორისო ვაჭრობის დარგში აკრძალვისა და დისკრიმინაციის ამ პოლიტიკის განგრძობა, განსაკუთრებით ახლანდელ პირობებში, როცა ვერავინ ვერ უარყოფს სიძნელეთა არსებობას ცალკეული ქვეყნების ეკონომიკაში.

ხუთი სახელმწიფოს წარმომადგენელთა თათბირი თავის დადებით როლს შეასრულებდა საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ნორმალური პირობების შექმნის მხრივაც, რითაც არ შეიძლება დაინტერესებული არ იყოს ბევრი სახელმწიფო.

რასაკვირველია, ხუთი სახელმწიფოს თათბირი შეიძლება გაიმართოს მხოლოდ იმ ძირითადი წინაპირობით, რომ ხუთივე დიდი სახელმწიფო ნამდვილად გამოიჩენს მისწრაფებას — შეამცირონ დაძაბულობა საერთაშორისო ვითარებაში.

საბჭოთა დელეგაციას სურს იმედი იქონიოს, რომ ამ საკითხზე შეიძლება მივაღწიოთ შეთანხმებას ბერლინის თათბირზე.

გარდა ხუთი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევის საკითხისა და გერმანიის საკითხისა, ამ თათბირზე მიზანშეწონილი იქნება განვიხილოთ აგრეთვე ავსტრიის საკითხი.

